

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი  
პრიორიტეტების დოკუმენტი  
(პირველადი ვარიანტი)

თავი I. ზოგადი ინფორმაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის შესახებ

**ისტორია**

ადიგენის მუნიციპალიტეტი სამხრეთ საქართველოს ისტორიული სამცხის შემადგენლობაში შედიოდა ამ მხარის მმართველები იყვნენ მთავრები - ხურციძეები, რომელთა სამთავრო ცენტრად ითვლებოდა ჩორჩანი. შუა საუკუნეებში იმ დროინდელი მოსახლეობა გადააგვარა და თითქმის გააქრო ოსმალეთის იმპერიის რამოდენიმე საუკუნოვანმა ბატონობამ. სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის პერიოდში ადიგენის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მკვიდრი ქართველი კათოლიკე-ქრისტიანები და გამაჰმადიანებული ქათველები, რომლებიც იმ დროისთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, აგრეთვე ჩამოსახლებული მაჰმადიანები (ოსმალები, ქურთები, და ა.შ.).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადიგენის მუნიციპალიტეტში დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული იქნა ქართველები, რაც შეეხება სომეხ და სხვა ეროვნების მქონე მოქალაქეებს რაიონის ტერიტორიაზე მიგრირებული არიან მეფის რუსეთის მმართველობის ასევე საბჭოთა კავშირის არსებობის დროს.

ადიგენის რაიონი 1917 წლამდე შედიოდა ტბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში, 1917-1930 წლებში ახალციხის მაზრაში, 1930 წლიდან კი ცალკე რაიონია. ადიგენს დაბის სტატუსი მიენიჭა 1961 წელს.

## მდებარეობა

ადიგენის მუნიციპალიტეტის როგორც ადმინისტრაციულ- ტერიტორიული ერთეული შედის სამცხე-ჯავახეთის მხარეში. იგი ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ჩრდილოეთ ნაწილი უჭირავს მესხეთის ქედის, ხოლო დასავლეთი არსიანის ქედის ფერდობებს.

## ფართობი

მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 1,1%-ს, ხოლო სამცხე- ჯავახეთის რეგიონის 12,5%-ს შედაგენს შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია- 799კვ.კმ-ია მათ შორის სასოფლო სამეურნეო სავარგულები 340 კვ.კმ

## გეოგრაფია

ადიგენის მუნიციპალიტეტს დასავლეთით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით - ჩოხატაურის, ვანის და ბაღდადის რაიონები, აღმოსავლეთით - ახალციხის რაიონი, ხოლო სამხრეთით თურქეთის რესპუბლიკა ესაზღვრება. გოდერძის უღელტეხილით რაიონი უკავშირდება ქალაქ ბათუმს (140 კმ), ხოლო ზეკარის უღელტეხილით ქ. ქუთაისს (100კმ). ქ. თბილისამდე მანძილი 235 კმ-ია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ქსეროფიტული მცენარეულობა, რომელსაც გორაკ-ბორცვიან ზონაში მუხნარი ცვლის. მთის ფერდობები მეტწილად დაფარულია ტყით, ქვედა სარტყელში განვითარებულია შერეული ტყე, სადაც მუხა და რცხილა სჭარბობს, უფრო ზევით გავრცელებულია წიწვოვანი ჯიშის ფიჭვები, სოჭი, ნაძვი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კვეთს მდინარე ქვაბლიანი, რომლის შენაკადების: ოცხე, ლაღვი, ძინძე. მუნიციპალიტეტში რამოდენიმე პატარა ტბაა: შავი ტბა, კოტატბა, თლილი, წყისი, და სხვა.

ადგენის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2024 წლის 1 იანვრის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)
სულ საქართველო	3 694,6	69 700
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	142,1	6 413
ადიგენის მუნიციპალიტეტი	15,6	799
პროცენტი საქართველოსთან	0.42	1.15
პროცენტი რეგიონთან	11,0	12.5

## ეკონომიკა

ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებებსად სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა.

ადიგენის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის კურორტი აბასთუმანი, რომელიც ცნობილია როგორც კლიმატურბალნეოლოგიური კურორტი, რომლის კლიმატი საუკეთესო საშუალებაა ფილტვების დაავადებათა პროფილაქტიკისათვის. განსაკუთრებით სასარგებლოა გაზაფხულის სეზონი, როდესაც ფიჭვი დამტვერვას იწყებს. აბასთუმანი განთქმულია ჰიპერთერმული, სუსტად მინერალიზებული წყაროებით (წყარო ზმეა 39°C, მეფის წყარო - 42°C; სურავანდი წყარო 42°C), რომლთა საერთო დებეტი 1 მლნ ლიტრი დღე-ღამეში. მინერალური წყლები არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მთა ყანობილზე. ზ. დ. 1650 მ, აბასთუმნიდან 8 კმ-ში. დაარსდა 1932 წელს. ის პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსით. წყლის მთლიანი რესურსი წარმოდგენილია ტბებით, წყალსაცავებით, მდინარეებითა და მიწისქვეშა გრუნტის წყლებით. დაბა აბასთუმანში არის ბუნებრივი გოგირდოვანი თბილი წყლების დიდი მარაგი, ასევე მუნიციპალიტეტში მოიპოვება მინერალური წყალი „ფლატე“, სასარგებლო წიაღისეულიდან მნიშვნელოვანია ფლატის, ლაღვის მინერალური წყლები, აბასთუმნის და ჩორჩნის თერმული წყლები. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ კახარეთში ფუნქციონირებს „კახარეთჰესი“ რომელიც გამოიმუშავებს 2-მეგავატ ელექტროენერგიას.,

## **ღირღმესანიშნაობები**

ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ისტორიული და კულტურული ღირღმესანიშნაობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 88 ისტორიული ძეგლია აღრიცხული. მათ შორისაა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, ციხე-კოშკები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებია: ზარზმის მონასტერი, იჯარეთის მონასტერი, ჭულე, ოქროსციხე, ზანავის ციხე, ოძრხე. ბუნების ძეგლებია გოდერძის გაქვავებული ტყე და ბენარის ფაუნა.

## **ბიუჯეტი**

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი 21,8 მლნ ლარია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებიდან 14,7 მლნ ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებია მათ შორის უდიდესი ნაწილი დამატებული ღირღმულების გადასახადს უკავია 10,8 მლნ ლარი. არასაკუთარი შემოსავლები ძირითდად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

## **თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

### **2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის**

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
<b>შემოსავლები</b>	<b>21 317.4</b>	<b>24 665.9</b>	<b>17 892,4</b>	<b>19 090,6</b>	<b>20 433,8</b>	<b>21 907,2</b>
გადასახადები	12 875.5	15 667.9	16 992,4	18 190,6	19 533,8	21 007,2
გრანტები	7 514.7	8 098.0				
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	7 324.7	8 082.8	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა შემოსავლები	927.2	900.0	900,0	900,0	900,0	900,0
<b>ხარჯები</b>	<b>9 845.5</b>	<b>11 731.2</b>	<b>12 504,5</b>	<b>13 029,2</b>	<b>13 567,7</b>	<b>15 103,8</b>
შრომის ანაზღაურება	2 331.1	2 737.9	3 159,2	3 475,1	3 822,5	4 204,8
საქონელი და მომსახურება	2 451.6	2 815.6	2 434,9	2 425,0	2 490,5	2 575,0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	20.3	21.0	10,0	1,0	0,0	0,0
სუბსიდიები	3 199.5	4 059.7	5 210,3	5 696,0	5 822,9	6 892,2

გრანტები	365.0	203.0	180,0	210,0	210,0	210,0
სოციალური უზრუნველყოფა	540.8	760.0	813,1	825,1	825,1	825,1
სხვა ხარჯები	937.2	1 133.9	697,0	396,7	396,7	396,7
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>11 471.9</b>	<b>12 934.7</b>	<b>5 387,9</b>	<b>6 061,4</b>	<b>6 866,1</b>	<b>6 803,4</b>
არაფინანსური აქტივების ცვლილება	<b>11 948.1</b>	<b>15 560.0</b>	<b>5 332,3</b>	<b>6 033,6</b>	<b>6 866,1</b>	<b>6 803,4</b>
ზრდა	12 444.3	16 292.2	5 332,3	6 033,6	6 866,1	6 803,4
კლება	496.2	732.2	0,0	0,0	0,0	0,0
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-476.2</b>	<b>- 2 625.3</b>	<b>55,6</b>	<b>27,8</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
ფინანსური აქტივების ცვლილება	<b>-531.8</b>	<b>-2 680.9</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
ზრდა	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	531.8	2 680.9	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	<b>-55.6</b>	<b>-55.6</b>	<b>- 55,6</b>	<b>-27,8</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
ზრდა	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0

კლება	55.6	55.6	55,6	27,8	0,0	0,0
საგარეო	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	55.6	55.6	55,6	27,8	0,0	0,0
ბალანსი	0.0	0.0	0,0	0,0	0,0	0,0

## 2.2 გასული 2023 წლის და მიმდინარე 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

### 2023 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 21 247 ,8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 813,7 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში 565,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რამაც გეგმის 102,7% შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 21 317,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20 907,4 ათასი ლარი) 102% და მთლიანი - შემოსულობების 97,7% შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 12 875,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 12 552,8 ათასი ლარის 102,6%. წინა წელთან შედარებით (ფაქტი - 10 496.3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 2 056,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის 10 836,3 ათასი ლარი. ქონების გადასახადიდან მიღებულია 2 039,2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 1 874,7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 22,7 ათასი ლარი.



გრანტების სახით მიღებულია 7 514,7 ათასი ლარი, მათ შორის: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 202,7 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 245,0 ათასი ლარი, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 7 066,9 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 927,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 827,2 ათასი ლარის 112,1%-ია. მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 563,3 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან - 100,2 ათასი ლარი; ჯარიმები სანქციები საურავები - 120,4 ათასი ლარი; ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 143,2 ათასი ლარი;

ათასი ლარი

დასახელება	2023 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	20 907,4	21 317,4	410,0	102,0
გადასახადები	12 552,8	12 875,5	322,7	102,6
გრანტები	7 527,4	7 514,7	-12,7	99,8
სხვა შემოსავლები	827,2	927,2	100,0	112,1

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2023 წელს მობილიზებული იქნა 496,2 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (340,4 ათასი ლარის) 145,8%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 248,4 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 247,8 ათასი ლარი.

2023 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3 313,2 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა **2 782,5** ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიძღვრება:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 4 393,6 ათასი ლარი;
- ✓ თავდაცვა – 132,9 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –10 717,5 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა 937,8 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 1 477,3 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –106,7 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 2 391,7 ათასი ლარი;
- ✓ განათლება –1 643,6 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –544,3 ათასი ლარი.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 393,6	91,9
7.2	თავდაცვა	132,9	93,9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	10 717,5	89,7
7.5	გარემოს დაცვა	937,8	89,5
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1 477,3	92,3
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	106,7	94,2
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 391,7	93,2
7.9	განათლება	1 643,6	97,0
7 10	სოციალური დაცვა	544,3	84,1
	სულ	22 345,4	91,0

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 22 645,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (24 545,1) 91,0 პროცენტია.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 22 645,4 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის განვითარება - 12 205,1 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 897.5 ათასი ლარი.

განათლება - 1 643.6 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2 421.7 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 651,0 ათასი ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4 526,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4 924,6 ათასი ლარი) 91,9 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1 033,1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3 284,6 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 132,9 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 129,2 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-120,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 75,6 ათასი ლარი

**ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 12 205,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 90,0 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01) 2023 წლის განმავლობაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში და დაბებში დაიგო 15568 გრძ/მ გზის საფარი, მოეწყო 1150 გრძ/მ სანიაღვრე არხი, 661 კვ/მ ტროტუარი, 156,5 გრ/მ გაბიონი და ფერდის გასამაგრებელი, მოსფალტდა კორპუსების

მიმდებარედ ეზოების ტერიტორია - 12000 კვმ; საერთო ჯამში 8571 ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

ბ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ძველი დაზიანებული სასმელი წყლის მილების შეცვლა ახალი პლასტმასის მილებით, ჭაბურღილის მოსაწყობად მოხდა ნიადაგის გაბურღვა, სოფლებში წყლის მილების შესაცვლელად შესყიდული იქნა პოლიეთილენის მილები.

გ) საკანალიზაციო სისტემები რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ჯამურად მოეწყო 276 გრ/მ საკანალიზაციო ქსელი პლასტმასის გოფირებული მილებით. აგრეთვე 11 საკანალიზაციო ჭა;

დ) ა(ა)იპ ადიგენის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 02 02 03) პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყალი მიეწოდება 52 სოფელს

ე) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების წერტილების (ქუჩებზე, მოედნებზე, შენობა-ნაგებობებზე, სოფლებში) ელექტორ ენერჯის საფასურის დაფარვა, გარე განათების ახალი სისტემის მოწყობა სულ 2023 წლის განმავლობაში მოეწყო 134 გარე განათების ბოძი;

ვ) სარწყავი ახრების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია (02 02 05) ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 145,1 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 143,0 ათასი ლარი ანუ გეგმის - 98,6 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

ს. ბოლაჯურის საბავშვო ბაღის ეზოში მიმავალი სარწყავი არხის რეაბილიტაცია- მოეწყო საბავშვო ბაღის ეზოში გამავალი ახალი სარწყავი არხი პლასტმასის გოფირებული მილებით 66 გრ.მეტრი.

შესყიდული იქნა წყალსაქაჩი სისტემისათვის ტუმბო აგრეგატის (კომპლექტში აგრეგატი ძრავი);

სოფელ პატარა სმადის და ბოლაჯურის წყალსატუმბი სადგურების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები- პროექტის ფარგლებში შეიცვალა დაზიანებული სახურავის ბურული რაოდენობით 272 კვ.მეტრი;

ს. პატარა სმადის წყალსაქაჩი სისტემისთვის ელექტრო მართვის ფარის (კომპლექტაციით) შეძენა-მონტაჟის შესყიდვა.

**ზ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი ( 02 02 06) აღნიშნულ ქვეპროგრამაზე გეგმა განსაზღვრული იყო 21,5 ათასი ლარით თუმცა ხარჯვა განხორციელდა 8,5 აღნიშნულ პროგრამულ კოდზე გათვალისწინებული იყო სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას ადიგენის მუნიციპალიტეტში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ვინაიდან 2023 წელს არ დადგა აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა, შესაბამისად პროგრამის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდით თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%.**

**თ) შენობა ნაგებობების გამრიცხველიანება (პროგრამული კოდი ( 02 02 07) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა შენობა ნაგებობების ელექტროენერჯის ქსელზე დაერთება, ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელზე დაერთება.**

**ი) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება, გამაგრება (პროგრამული კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 700,7 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 457,0 ათასი ლარი ანუ გეგმის - 65,2 %.**

**კ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი (02 03 02) ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 496,4 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 409,5 ათასი ლარი**

ანუ გეგმის - 82,5 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა. აგრეთვე საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების დაფინანსება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების ხარჯის დაფინანსება.

**ლ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი (02 03 03)** ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 683,5 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 481,6 ათასი ლარი ანუ გეგმის - 70,5 %.

**მ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 04)** - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები მათ შორის მოეწყო 544 გარე განათების ბოძი; რეაბილიტირდა და მოეწყო 1955 მ სარწყავი არხის სისტემა; რეაბილიტირდა და მოეწყო 11222 მ სასმელი წყლის სისტემა; მოიხრეშა 1544 მ სოფლის შიდა გზები; დაიგო 635 მ ბეტონის გზა, მოხდა სასაფლაოების შემორბვა ჯამში - 435.5 მ; სოფ.მლაშეში რკ/ბეტონის ფუნდამენტზე დამონტაჟდა დეკორატიული წყარო; სოფელ ჩორჩნის სკვერი -109 კვ,მეტრზე მოწყო დასასვენებელი სივრცე, მოეწყო ახალი წყარო, ასევე ფანტანი, დაიდგა დასასვენებელი სკამები და ნაგვის ურნები. თ.ჩორჩანელის ძეგლის დასადგავად მოეწყო პოდსტამენტი, ტერიტორია შეოიღობა მილკვადრატებით. მოეწყო 2 ცაალი ლამპიონი; სოფელ იმერთუბანში არსებულ მინი მოედნის გვერდით მხარეს რკ/ბეტონის ფუნდამენტზე მოეწყო მაყურებელთათვის სკამები 40 ცალი.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)**

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 897.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 89,3 პროცენტია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დ.ადიგენისა და კურორტ აბასთუმნის ქუჩებისა და ტროტულების ასევე სოფლებში არსებული სკვერებისა და მიმდებარე ტერიტორიების ,რეკრეაციული ზონების, გზის პირების დაგვა-დასუფთავება; ნარჩენების შეგროვება და დროული გატანა.დ.ადიგენში არსებული ადმინისტრაციული შენობების დალაგება; სანიაღვრე არხების წმენდა;მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ნაგავსაყრელების აღმოჩენა,აღრიცხვა და შემდგომ დახურვა, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რეცხვა, ადმინისტრაციული შენობებისა და თავშეყრის ადგილების ასევე სანაგვე ურნებზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.,უფასოდ სატრანსპორტო მომსახურეობის განხორციელება მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის მიზნით.

#### **განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1 643.6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 1 694.2 ათასი ლარი, 97 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1 191.1 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, რეაბილიტაციის დაფინანსებაზე - 32,0 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა დაფინანსდა (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) 305,0 ათასი ლარით, საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნვეყოფა დაფინანსდა - 115,4 ათასი ლარით.

#### **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

კულტურა ახალგაზრდობა და სპორტის ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2 421.7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 596.0 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 93,3 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის



განვითარებას მოხმარდა 1 035.1 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 490.8 ათასი ლარი, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 279.0 ათასი ლარი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა - 586.8 ათასი ლარი. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 30.0 ათასი ლარი.

**ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ ადიგიენის კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება აგრეთვე ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო“- ს დაფინანსება გრანტის სახით, და სპორტული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და არჭურვის დაფინანსების პროგრამა გეგმა - 1 128.6 ათასი ლარი ფაქტიური ხარჯი 1 035.1 ათასი ლარი ანუ გეგმის - 91.7%.

**ბ.) კულტურის განვითარების ხელშეწყობა- (პროგრამული კოდი 05 02)** პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის, ა(ა)იპ ადიგენის სამუსიკო სკოლის და ა(ა)იპ ადიგენის კულტურის ცენტრის დაფინანსება. გეგმა 289,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 286,4 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 98,%;

**გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამა დაფინანსდა 279,0 ანუ გეგმის 95%-ით (გეგმა 293,7 ათასი). პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების ორგანიზება მ.შ. ეროვნული დროშის დღე; დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე; 9 აპრილის მემორიალის ყვავილებით შემკობა; 9 მაისის მემორიალის ყვავილებით შემკობა; მამების დღე; ანთიმოზობა; ადგილობრივი შემოქმედებითი საღამო; "ნიკოლოზობა"; "შუამთობა"; პაატა გულიაშვილის შემოქმედებითი საღამო; 8 აგვისტოს მემორიალით შემკობა; "ადიგენობა"; ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში; ჩემპიონატი ფეხბურთში; ჩემპიონატი ნარდში; ჩემპიონატი ფრენბურთში; ჩემპიონატი შაშში; ჩემპიონატი ძიუდოში; ჩემპიონატი თავისულაფ ჭიდაობაში;

მკლავჭიდის ჩემპიონატი; ნიაზ ჩირგადის სახელობის ტურნირი ფეხბურთში; ევროპის სპორტის კვირეული; სასკოლო სპორტული ოლიმპიადა; რა?სად?როდის?(ფორმატი); ახალგაზრდული საბჭოს შექმნა; ინტელექტუალური თამაში " გაიცანი ადიგენი"; ლაშქრობა; ქალთა საერთაშორისო დღე; ესეები კონკურსი " ქალის როლი საზოგადოებაში"; შშმ პირების შესახებ პრეზენტაცია; "ითამაშე ცვლილებებისთვის" ; საინფორმაციო შეხვედრა " არა ფემიციდს"; 16 დღიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

**დ) ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)** გეგმა 586.8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 586.8 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 100,0%; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქვაბიჯვრის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო სახლის მცირე ტაძრის რეაბილიტაცია-მშენებლობა- 200 000 ლარი; ბენარის წმინდა იობი მართლი სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია 30 000 ლარი; შოშხოთის მამათა მონასტრის სამონასტრო სახლის მცირე ტაძრის რეაბილიტაცია - 246 500 ლარი. ბუზმარეთის მამარა მონასტრის ეზოს კეთილმოსყობა - 74 206 ლარი; დაბა ადიგენის წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია - 7 582 ლარი; სოფელ ვარხნის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მშენებლობა (გალავნის მშენებლობა) – 20 000 ლარი; სოფელ კეხოვნის მეჩეთის შემოღობვის სამუშაოები - 8500 ლარი;

#### **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 85,6%-ით (გეგმა 760,2 ათასი, ფაქტი 651,0 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 106,7 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ პროგრამები 544,3 ათასი ლარი.

#### **ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდსიტუაციის კონტოლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადექვატური რეაგირება და პირველადი

პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა; პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

1. ზოგადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას (სამედიცინო სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელებასა სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ შემთხვევათა კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით) და წარდგენა დკსჯე ცენტრში; სამოქმედო არეალში სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე ზედამხედველობა იმუნიზაციის ღონისძიებების უზრუნველყოფაზე, „ცივი ჯაჭვის“ და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებაზე; დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში შემთხვევათა რეგისტრაცია; სამოქმედო არეალში საბიუჯეტო წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისათვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა).

**მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)** პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობის სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დახმარება (ოჯახს, რომელსაც ხანძარმა დაუზიანა საცხოვრებელი სახლი და არ გააჩნია მისი შეკეთების სახსრები, ოჯახს რომელსაც გარდაეცვალაწევრი და არ გააჩნია მისი დაკრძალვის ხარჯები და ოჯახი, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა და ცხოვრობს უკიდურეს სიდუხჭირეში, ასი და ას წელს გადაცილებული მოქალაქეების დახმარება), ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება, ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება, სოფელ არლის უნარშეზღუდულთა და მენტალობადაქვეითებულთა საინტეგრაციო ცენტრის დაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომებში დაღუპული მებრძოლი ოჯახების ერთჯერადი დახმარება და შშმ სტატუსის მქონე პირების ოჯახების დახმარება.

## 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 19 359,6 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2024 წლის 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის 86,3%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებული შემოსავალზე მოდის 12 322,6 ათასი ლარი (შემოსულობების - 63,7%), გრანტების სახით მიღებული შემოსავლებზე - 5 828,9 ათასი ლარი (შემოსულობების - 30,1%) სხვა შემოსავლებზე - 794,0 ათასი ლარი (შემოსულობების - 4,1 %), არაფინანსური აქტივების კლება - 414,1 ათასი ლარი (შემოსულობების - 2,1 %).

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2024 წელი 9 თვის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 22 039.2 ათასი ლარის ოდენობით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 18 945.5 ათასი ლარი რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 86%-ია. შემოსავლები თავის მხრივ მოიცავს : გადასახადებს, გრანტებს, სხვა შემოსავლებს

1. **გადასახადები** 2024 წელი 9 თვის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13 464.5 ათასი ლარის ოდენობით ფაქტიურად შემოსულია - 12 322.6 ათასი ლარი, რაც გეგმით განსაზღვრულის 91.5%-ია.

გადასახადები თავის მხრივ მოიცავს: დამატებული ღირებულების გადასახადს, ქონების გადასახადი.

- **დამატებული ღირებულების გადასახადი** - გეგმით 2024 წლის 9 თვეში განსაზღვრული იყო 11 764.2 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 10 221.4 ათასი ლარი რაც გეგმით განსაზღვრულის 86.9%-ია.

- **ქონების გადასახადი** - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადი გეგმით განსაზღვრული იყო - 1 700.3 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია - 2 101.2 ათასი ლარი რაც გეგმით განსაზღვრულის 123.6%-ია.

2. **გრანტები** - 2024 წელი 9 თვეში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 802.3 ათასი ლარის ოდენობით ფაქტიურად შემოვიდა - 5 828.9 ათასი ლარი რაც გეგმით განსაზღვრულის 74.7%-ია მათ შორის:

- **მიზნობრივი ტრანფერი** - შემოსულია გეგმით განსაზღვრულის 75% ანუ 133.6 ათასი ლარი.

- **საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა** გეგმით განსაზღვრული იყო 257.5 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 245.9 ათასი ლარი.

- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** გეგმით განსაზღვრული იყო 5 651.6 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 4 199.2 ათასი ლარი 74.3%-ი.

- **სოფლის მხადაჭერის პროგრამა** გეგმით განსაზღვრული იყო 648,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 603,0 ათასი ლარი 93,1%-ი.
  - **მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი** გეგმით განსაზღვრული იყო 412,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 283,7 ათასი ლარი 68,9%-ი.
3. **სხვა შემოსავლების** - 2024 წელი 9 თვის საპროგნოზო მოცულობა 772,5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებმა შეადგინა 794,0 ათასი ლარი ანუ გეგმის 102,8%. სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:
- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 607,6 ათასი ლარი რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 575,0 ათასი ლარის 105,7%-ია მათ შორის პროცენტიდან მობილიზებულია - 181,9 ათასი ლარი, რენტიდან -425,7 ათასი ლარი,
  - **საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 79,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 92,5 ათასი ლარის 86,4%-ია, აქედან: სანებართვო მოსაკრებელი 26,1 ათასი ლარი, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 33,3 ათასი ლარი.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურეობა** - გეგმით განსაზღვრული არ იყო თუმცა ფაქტიურად შემოსულია 20,5 ათასი ლარი.
  - **ჯარიმები, სანქციები და საურავები**- გეგმით განსაზღვრული იყო 105,0 ათასი ლარი ფაქტიურად შემოსულია - 77,5 ათასი ლარი ანუ 73,8 %;
4. **არაფინანსური აქტივებზე კლება** გეგმით განსაზღვრული იყო- 394,9 ათასი ლარი ფაქტიურად შემოსულია - 414,1 ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი - 2 855.4 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 1 466,8 ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022–2024 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)			
	2022 წლის 9 თვე	2023 წლის 9 თვე	2024 წლის 9 თვე

<b>გადასახადები</b>	<b>7 939,3</b>	<b>9 835,2</b>	<b>12 322,6</b>
ქონების გადასახადი	1 580,9	1 884,8	2 101,2
დამატებული ღრებულების გადასახადი	6 358,4	7 950,4	10 221,4
<b>გრანტები</b>	<b>2 702,3</b>	<b>4 850,0</b>	<b>5 828,9</b>
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>572,8</b>	<b>657,2</b>	<b>794,0</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	422,4	361,6	607,6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	64,3	75,6	79,9
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	45,1	88,2	77,5
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	0,0	0,0
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>620,6</b>	<b>340,4</b>	<b>414,1</b>
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	301,3	143,7	33,6
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	319,3	196,7	380,5
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
<b>სულ შემოსულობების ჯამი</b>	<b>11 835,0</b>	<b>15 682,8</b>	<b>19 359,6</b>

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელების საკასო ხარჯმა 17 892,8 ათასი ლარი რაც გეგმით განსაზღვრულის 25 289.5 ათასი ლარის 70,8% ია მათ შორის:

- შრომის ანაზღაურებაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 889,1 ათასი ლარი რაც გეგმით განსაზღვრულის 2 081,7 ათასი ლარის 90,8%-ია.
- საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა 1 829,6 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმით განსაზღვრულის 2 341,3 ათასი ლარის 78,1%-ია.
- პროცენტი გაწეულმა ხარჯმა 6,1 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმით განსაზღვრულის 15,0 ათასი ლარის 41%-ია.
- სუბსიდიის სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 704,9 ათასი ლარი რაც გეგმის 3 164,7 ათასი ლარის 85,5%-ია.
- გრანტებზე გეგმით განსაზღვრული იყო 203,0 ათასი ლარი, ფაქტიური ხარჯი 178,0 ათასი ლარია 87,7 %-ია.
- სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 533,1 ათასი ლარი რაც გეგმით განსაზღვრულის 567,9 ათასი ლარის 93,9 %-ია.
- სხვა ხარჯებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 798,1 ათასი ლარი რაც გეგმით განსაზღვრულის 1 046,9 ათასი ლარის 76,2%-ია.
- არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 9 926,1 ათასი ლარი რაც დაგეგმილის 15 841,2 ათასი ლარის 62,7%-ია.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 5 131.1 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 4 299.1 ათასი ლარი რაც გეგმის 83.8%. ამ მუხლში გაერთიანებულია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობას მერიასა და საკრებულოს, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა რომელიც თავის მხრივ მოიცავს სარეზერვო ფონდის გეგმას, წინა წლების დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 2024 წლის 9 თვეში 13 720.0 ათასი ლარი საკასო ხარჯმა შეადგინა 8 554.7 ათასი ლარი რაც გეგმის 62.4%- ია. აღნიშნული სფერო მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია კაპიტალურ მშენებლობას, გზების მოვლა პატრონობას, სხვადასხვა მცირედი ინფრასტრუქტურულ პროექტებს, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება- რეაბილიტაციას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობას, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს.

საბინაო კომუნალური მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა 2024 წლის 9 თვეში 1 095.5 ათასი ლარია, ფაქტიური საკასო ხარჯი კი 669.1 ათასი ლარი ანუ გეგმის 61.1%. თავის მხრივ სფერო მოიცავს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, გარე განათების ქსელების მოვლა პატრონობას და ახალი ქსელების დამატებას.

ჯანმრთელობის დაცვა აღნიშნული სფეროს გეგმა 180.0 ათასი ლარია ხოლო ფაქტიური საკასო ხარჯი 118.3 ათასი ლარი ანუ გეგმის 65.7%. რომელიც მოიცავს ა(ა)იპ ადიგენის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დაფინანსებას.

დასვენება კულტურა და რელიგია 2024 წლის 9 თვეში გეგმით განსაზღვრული იყო 2 297.5 ათასი ლარი ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 1 743.2 ათასი ლარი რაც გეგმის 75.9%-ია. აღნიშნულ სფეროში გაერთიანებულია ა(ა)იპ ადიგენის სასპორტო სკოლის დაფინანსება, ა(ა)იპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის დაფინანსება. ა(ა)იპ ადიგენის კულტურის ცენტრის დაფინანსება, ა(ა)იპ ადიგენის სამუსიკო სკოლის დაფინანსება. აგრეთვე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.

განათლება აღნიშნული სფეროს გეგმა განსაზღვრული იყო 1 275.2 ათასი ლარით ფაქტიურად საკასო ხარჯმა შეადგინა 1 121.6 ათასი ლარი რაც გეგმის 88.0%-ია. აღნიშნული სფერო მოიცავს ა(ა)იპ ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაფინანსებას. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

სოციალური დაცვა დაგეგმილი იყო 551.9 ათასი ლარი ფაქტიურად გახარჯული იქნა 531.1 ათასი ლარი რაც გეგმის 96.2%-ია. აღნიშნული სფერო მოიცავს ავადმყოფთა სოციალურ დაცვას, შესზღუდული შესაძლებლობების პირთა სოციალურ დაცვას, ახალშობილთა და მრავალშვილიანთა სოციალურ დაცვას.

ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები :

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება
- ❖ მმართველობითი და საერთო დანიშნულების ხარჯები
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა
- ❖ განათლება



- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2025-2028 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5 614,9	5 746,1	6 068,1	6 515,0
	მ.შ. რიცხოვნობა	151	151	151	151
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7 147,7	7 730,5	8 527,2	8 984,4
	მ.შ. რიცხოვნობა	39	39	39	39
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 542,0	1 696,2	1 865,8	2 052,4
	მ.შ. რიცხოვნობა	92	92	92	92
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	1 911,5	2 102,6	2 312,9	2 544,2
	მ.შ. რიცხოვნობა	139	139	139	139

	მ.შ. ახალი ინიციატივები				
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 090,9	2 309,9	2 454,8	2 522,4
	მ.შ. რიცხოვნობა	107	107	107	107
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	808,1	835,1	835,1	835,1
	მ.შ. რიცხოვნობა				
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
<b>სულ ჯამი</b>		<b>19 115,2</b>	<b>20 420,3</b>	<b>21 866,8</b>	<b>23 453,5</b>
<b>მ.შ. რიცხოვნობა</b>		<b>528</b>	<b>528</b>	<b>528</b>	<b>528</b>
<b>მ.შ. ახალი ინიციატივები</b>					

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიკ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

### პრიორიტეტის დასახელება: ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებულ დაბებში საცხოვრებელ უბნებში ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა საასმელი წყლის სისტემების მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

	დასახელება	სულ 4 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
--	------------	------------	-----------	-----------	-----------	-----------

პროგრამული კოდი		სულ	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტი	სულ	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით	სულ	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტი	სულ	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით	სულ	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	17 245,4	17 245,4	0,0	2 990,1	2 990,1	0,0	4 720,0	4 720,0	0,0	4 558,9	4 558,9	0,0	4 976,4	4 976,4	0,0
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და მიმდინარე შეკეთება	700,0	700,0	0,0	100,0	100,0	0,0	200,0	200,0	0,0	200,0	200,0	0,0	200,0	200,0	0,0
02 01 02	გზების რეაბილიტაცია მშენებლობა	16 422,8	16 422,8	0,0	2 767,5	2 767,5	0,0	4 520,0	4 520,0	0,0	4 358,9	4 358,9	0,0	4 776,4	4 776,4	0,0
02 01 03	ხიდების რეაბილიტაცია მშენებლობა	122,6	13 501,9	0,0	122,6	122,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის	7 358,9	7 358,9	0,0	1 594,6	1 594,6	0,0	1 634,9	1 634,9	0,0	1 986,4	1 986,4	0,0	2 143,0	2 143,0	0,0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	2 170,0	2 170,0	0,0	470,0	470,0	0,0	400,0	400,0	0,0	600,0	600,0	0,0	700,0	700,0	0,0
02 02 02	საკანალიზაციო სისტემები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 02 03	ა(ა)იპ ადიგენის წყალმომარაგება	2 178,9	2 178,9	0,0	474,6	474,6	0,0	514,9	514,9	0,0	566,4	566,4	0,0	623,0	623,0	0,0
02 02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 000,0	2 000,0	0,0	500,0	500,0	0,0	500,0	500,0	0,0	500,0	500,0	0,0	500,0	500,0	0,0
02 02 05	სარწყავი არხების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია	900,0	900,0	0,0	100,0	100,0	0,0	200,0	200,0	0,0	300,0	300,0	0,0	300,0	300,0	0,0
02 02 06	სტიქის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები	80,0	80,0	0,0	20,0	20,0	0,0	20,0	20,0	0,0	20,0	20,0	0,0	20,0	20,0	0,0

02 02 07	შენიშნა ნაგებობების გამრიცხველიანება	30,0	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 03	<b>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	7 045,5	7 045,5	0,0	1 853,0	1853,0	0,0	1 365,6	1 365,6	0,0	1 971,9	1 971,9	0,0	1 855,0	1 855,0	0,0
02 03 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება, გამაგრება	<b>2 816,9</b>	<b>2 816,9</b>	<b>0,0</b>	500,0	500,0	0,0	600,0	600,0	0,0	916,9	916,9	0,0	800,0	800,0	0,0
02 03 02	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი	2 195,0	2 195,0	0,0	530,0	530,0	0,0	555,0	555,0	0,0	555,0	555,0	0,0	555,0	555,0	0,0
